10.55804/TSU-ti-3/Tavadze

„თურქეთის საუკუნეში“ თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პერსპექტივის ანალიზი

ANALYSIS OF THE PERSPECTIVE OF TURKEY'S CAUCASIAN POLICY IN THE "TURKISH CENTURY"

დავით თავაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Davit Tavadze Ivane Javakhishvili Tbilisi State University

https://orcid.org/0009-0002-1889-0040

საკვანძო სიტყვები: *თურქეთის კავკასიური პოლიტიკა, „თურქეთის საუკუნე“, საგარეო პოლიტიკა*
Keywords: *Türkiye's Caucasian Policy, "Century of Türkiye", Foreign Policy*

ABSTRACT

On the 100th anniversary of the founding of the Republic of Türkiye, President Erdoğan presented a new concept—the "Century of Türkiye"—intended to serve as a guide for the country's development in the coming decades. Alongside other directions, it outlines the country's foreign policy goals and aspirations. The document highlights the potential use of both "soft" and "hard" power to achieve Türkiye's foreign policy objectives, as well as the steps to enhance the effectiveness of these strategies. Additionally, the concept details possible policies that official Ankara may adopt towards specific countries, regions, and foreign policy processes.

The aim of this study is to analyze the perspectives of the Republic of Türkiye's "Caucasian Policy" within the context of the "Century of Türkiye" program. The research is based on two key elements: first, the main doctrinal principles of Türkiye's foreign policy from the 1990s to 2023; and second, an examination of Türkiye's practical regional policy in the Caucasus during this period. For evaluation and analysis, events in the study are discussed following a chronological division:

The main lines of Türkiye's policy in the Caucasus during the 1990s;

Changes in Türkiye's foreign policy following the rise to power of the "Justice and Development Party" (AKP);

Türkiye's Caucasian policy and its outcomes following the 2008 Russo-Georgian War;

Theses on Türkiye's foreign policy after the establishment of the presidential governance system in Türkiye;

Foreign policy theses of the "Century of Türkiye" program.

შესავალი

თურქეთის საგარეო პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ისტორიულად განსაზღვრავდა გეოგრაფიული სიახლოვე და რეგიონული დინამიკა. ოსმალეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, თურქეთი მოქმედებს როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელიც ცდილობს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დააბალანსოს რუსეთისა და ირანის გავლენა რეგიონში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცა. ბოლო ათწლეულებში რეგიონში თურქეთის პოლიტიკის ევოლუციამ უფრო პროაქტიური ხასიათი შეიძინა, რაც განსაზღვრულია მისი ეკონომიკური, სამხედრო და გლობალური სტრატეგიული ინტერესებით.

ოსმალეთის იმპერიის, ხოლო შემდგომ თურქეთის რესპუბლიკის კავკასიურიპოლიტიკა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და პერიოდულად განიცდიდა ტრანსფორმაციას. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, კავკასიის რეგიონთან ანკარის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების აბსოლუტურად შეზღუდული იყო, თუმცა, XX საუკუნის 90-იანწლებში, საბჭოთაკავშირისდაშლისშემდეგ, თურქეთმა დაიწყო საკუთარი პოზიციების

გაძლიერებარეგიონში. თურქეთის რესპუბლიკის პირველადისტრატეგიაორიენტირებულიიყოპოსტ-საბჭოთაქვეყნებისდასავლურსტრუქტურებთანინტეგრაციისხელშეწყობაზე და დასავლეთთან კოლაბორაციით, ასევე მათი შესაძლებლობების გამოყენებით, საკუთარი პოლიტიკის გატარებაზე. ამასთან,2000-იანიწლებისდასაწყისში,„სამართლიანობისადაგანვითარებისპარტიის“ ხელისუფლებაშიმოსვლასთანერთად, დაიწყოახალიეტაპი, რომელიცხასიათდებაპროაქტიურიდამრავალვექტორულიმიდგომით.

2002 წლის შემოდგომაზე თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში მოვიდა „სამართლიანობის და განვითარების პარტია“ და რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომლის მმართველობის პირობებში, თურქეთმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა თურქეთის კავკასიურ პოლიტიკაშიც. ზემოაღნიშნული პარტიის მმართველობა შესაძლებელია დაიყოს ოთხ ეტაპად:

1) **2002-2008 წლების** პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკის პერსპექტივის ფორმირებაზე. ამ ეტაპზე, თურქეთის ხელისუფლება ძირითადად ორიენტირებული იყო შიდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე, რისთვისაც აქტიურად იყენებდა ევროკავშირის მიერ რეფორმების და დემოკრატიზაციის მიზნით წაყენებულ მოთხოვნებს(Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 20-21).

2) **2008-2012 წლების** პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ სცადა რეგიონულ დონეზე საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობების გაღრმავება და გლობალურ პოლიტიკაში ჩართვა.

3) **2012-2016 წლების** პერიოდში „არაბულმა გაზაფხულმა“ თურქეთი დააყენა მნიშვნელოვანი რეგიონული პრობლემების წინაშე. ამ პერიოდში აქტიურად განიხილებოდა ე.წ. „თურქული მოდელის“ დანერგვის პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს თავად თურქეთი(მაკარაძე, 2019, გვ. 219). შედეგად, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი გახდა ახლო აღმოსავლეთი და ტერორიზმთან ბრძოლა.

4) **2016 წლის 15 ივლისის** სამხედრო გადატრიალების მცდელობა წარმოადგენდა გარდამტეხ წერტილს, რომლის შემდეგაც იწყება ახალი ეტაპი თურქეთის რესპუბლიკაში. განხორციელდა საკონსტიტუციო და სტრუქტურული რეფორმები. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში უფრო მეტი ადგილი დაეთმო სამხედრო ელემენტებს და ხისტი ძალა იქცა მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშნელოვან პრაქტიკულ მექანიზმად.ჩამოყალიბდა დისკურსი „ველზე და მაგიდასთან ძლიერი თურქეთი“ (Erdoğan, R., 2023).

2023 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ.თ.ერდოღანმა წარადგინა ახალი პროგრამა - **„თურქეთის საუკუნე“,** რომელიც არჩევნების შემდეგ იქცა მმართველი ძალის სამოქმედო პროგრამად. იგი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, მათ შორის, საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მისწრაფებებს. (თავაძე, 2023, გვ. 28)

წინამდებარე სტატიის მიზანია პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ კონტექსტიდან თურქეთის რესპუბლიკის „კავკასიური პოლიტიკის“ პერსპექტივების ანალიზი. კვლევა ეფუძნება ერთი მხრივ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დოქტრინალური პრინციპების, ხოლო მეორე მხრივ ამ პერიოდში კავკასიაში თურქეთის პრაქტიკული რეგიონული პოლიტიკის შესწავლას.

სტატიაზე მუშაობის დროს გამოყენებული იქნა საისტორიო კვლევის ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული და პოლიტიკური ანალიზის პრინციპები და მეთოდები.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია

თურქეთის საგარეო პოლიტიკის თეორიული ჩარჩოების განხილვის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ 2000-იანი წლების დასაწყისამდე თურქეთის რესპუბლიკა ატარებდა შედარებით ფრთხილ და „თავდაცვით“საგარეო პოლიტიკას, რაც განპირობებული იყო ცივი ომის პირობებში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებოთ და ამ პერიოდში მიღებული გამოცდილებით, ასევე თურქეთის რესურსების სიმწირით (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, p. 97). ამასთან, 1990-იან წლებში ანკარის საგარეო პოლიტიკაში გამოიკვეთა გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის და თურქულ სამყაროში გავლენის მოპოვების სურვილი (Hunter, 1994, p. 162). ამასთან, რესურსების და შესაძლებლობების ნაკლებობის პირობებში თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო გაეტარებინა დასავლეთის ინტერესების შესაბამისი საგარეო პოლიტიკა (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, გვ. 95-96).

21-ე საუკუნეში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკამ განიცადა ტრანსფორმაცია, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულმა პროცესება ხოლო მეორე მხივ თურქეთის ხელისუფლების მიერ შიდა ასპარეზზე გატარებულმა რეფორმებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა, რამაც რადიკალურად შეცვალა მე-20 საუკუნეში თურქეთის რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული შიდა პოლიტიკური სტრუქტურა და ძალთა ბალანსი. შედეგად, თურქეთის რესპუბლიკია ახალი პოლიტიკა დაეფუძნა შემდეგ ძირითად პრინციპებს: „პროაქტიური საგარეო პოლიტიკა“ (Davutoğlu, A., 2013);

„სტრატეგიული ავტონომია“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 83);

„რეგიონალური პატრონაჟი“(Müderrisoğlu, 2024).

2000-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ხდება მრავალვექტორული, რაც ითვალისწინებს დასავლეთის პარალელურად რუსეთთან, ჩინეთთან და სხვა არადასავლური ცივილიზაციის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარებას. იწყება აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, რაც 2019 წელს ჩამოყალიბდა, როგორც ინიციატივა „ხელახლა აზია“ (Yeniden Asya Girişimi, 2025). ასევე, ყურადღება მახვილდება აფრიკის ქვეყნებთან დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე(Türkiye-Afrika Ilişkileri, 2025).ამასთან, წარსულში რეაქტიული საგარეო პოლიტიკა გადავიდა პროაქტიულ რეჟიმში.

აღნიშნულ ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აქცენტი გააკეთა მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალიზაციაზე, რაც ჩამოყალიბდა „მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკად (Davutoğlu A. , 2013). ამავე პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკაში პოლპულარული ხდება გეოგრაფიული რეგიონების კლასიფიკაცია და პრიორიტეტიზაცია, რაც მკაფიოდ იქნა წარმოჩინებული ა.დავუღოღლუს ნაშრომში „სტრატეგიული სიღრმე - თურქეთის საერთაშორისო პოზიცია“. ტერმინის „მახლობელი სახმელეთო აუზის“ შემოღება (Davutoğlu A. , 2001, გვ. 119), რომელიც ა.დავუთოღლუს უკავშირდება, ითვალისწინებს თურქეთის გარშემო მდებარე რეგიონების მიმართ საერთო მიდგომების და პოლიტიკის შემუშავებას, თითოეული ამ რეგიონის სპეციფიკების გათვალისწინებით. პარალელურად, 2000-იანი წლების დასაწყისში თურქეთი აჟღერებს პრეტენზიას იქცეს მძლავრ რეგიონალურ სახელმწიფოდ, რომელაც ასევე ექნება გლობალურ პოლიტიკაში მონაწილეობის გარკვეული პრეტენზიები.

2010-იანი წლებიდან თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკაში აქცენტი კეთდება „მდგრად სტაბილურობაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 80), „სტრატეგიულ ავტონომიაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, გვ. 83), „სტრატეგიულლ მოქნილობაზე“ (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 86). „სტრატეგიული ავტონომიის“ პრინციპი სრულიად განსხვავდება 1990-იან წლებში დასავლეთთან ერთად მოქმედების პოლიტიკისგან და რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის მისი პარტნიორების ინტერესებთან. იგი ითვალისწინებს დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რისთვისაც საჭიროა შეკავების (შეიარაღებული ძალები) , დიპლომატიური მანევრის (საგარეო საქმეთა სამინისტრო და „რბილი ძალის“ ინსტგრუმენტები) და წინმსწრები ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის (სპეცსამსახურები) საშუალებების განვითარება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხედრო ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარების შესაძლებლობა, რისთვისაც საჭიროა თვითკმარი თავდაცვითი მრეწველობის ფორმირება (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 84). ამავე პერიოდში დისკურსს „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“ ანაცვლებს „ბრძოლის ველზე და მოლაპარაკებათა მაგიდასთან ძლიერი თურქეთის“ ცნება (“TÜRKİYE YÜZYILI”NDA MİLLİ DIŞ POLİTİKA, 2023). აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ხისტი სამხედრო ძალით მხარდაჭერას და საფრთხის თურქეთის ტერიტორიის გარეთ გაუვნებელყოფას. სწორედ აღნიშნული პოლიტიკის შედეგია თურქეთის მიერ ერაყში და სირიაში ოპერაციების ჩატარება.

2016 წლის შემდეგ, 2000-იან წლებში ჩამოყალიბებულმა „სახმელეთო აუზის“ ცნებამ განიცადა ტრანსფორმაცია და დაიშალა 5 სარტყელად, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებს. აღნიშნულ ეტაპზე წინა პლანზე გამოდის თურქეთის გლობალური ამბიციები, საუბარია გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებობაზე. (Erdoğan, Dünya 5’ten büyüktür, 2014) თუმცა ჯერ კიდევ ხაზი ესმება, რომ თურქეთს არ გააჩნია ძალა, რომ დიდი ზემოქმედება მოახდინოს გლობალურ ვითარებაზე და მისი მიზანი უნდა იყოს გლობალურ წესრიგში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში წვლილის შეტანა. (Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi, 2020, s. 83)

პროგრამაში „თურქეთის საუკუნე“ (Erdoğan, “TÜRKİYE YÜZYILI” TANITIM TOPLANTISI KONUŞMASI, 2022) ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრინციპები დიდწილად თანხვედრაშია გასულ პერიოდში შემუშავებულ თეზისებთან. ამასთან, შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ყარაბაღის და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მსოფლიოში და რეგიონში განვითარებული მოვლენების გავლენით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ „სტრატეგიული ავტონომია“ ჩანაცვლებულია გარე ძალებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების ცნებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თურქეთის გეოპოლიტიკური ღერძის შექმნა და თურქეთის რეგიონულ გრავიტაციის ცენტრად გარდაქმნა. (Fidan, 2023)

პროგრამა „თურქეთის საუკუნე“ მსოფლიოს სამ სარტყელად ყოფს და განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებს პირველ სარტყელში (შავი ზღვის, კავკასიის, ბალკანეთის, ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურის და ცენტრალური აზიის რეგიონები) სტაბილურობის და მშვიდობის დამყარებას. აღინიშნება, რომ თურქეთმა ამ სარტყელში სტაბილურიობის უზრუნველყოფის პროცესში უნდა გასწიოს მაქსიმალური ძალისხმევა და იკისროს ლიდერი ქვეყნის ფუნქცია. (Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023, 2023, p. 422)

საერთო ჯამში შეიძლება აღინიშნოს, რომ 1990-იანი წლებიდან 2023 წლამდე პერიოდში, თურქეთი, შეზღუდული შესაძლებლობების და საშუალებების მქონე ქვეყნიდან, რომელიც თავად სარგებლობდა საერთაშორისო დახმარებებით, გადაიქცა გლობალური ამბიციების მქონე ქვეყანად, რომელიც აცხადებს ამბიციას საკუთარი გეოპოლიტიკური ღერძის შექმნაზე და გლობალურ აქტორად ჩამოყალიბებაზე, დასახული მიზნების მიღწევის მიზნით, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად იყენებს როგორც დიპლომატიურ რესურსებს და საშუალებაბს, ასევე „რბილ“ და „ხისტ“ ძალებს.

თურქეთის კავკასიური პოლიტიკა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში

მე-20 საუკუნის ბოლოდან თანამედროვე ეტაპამდე თურქეთის კავკასიური პოლიტიკის ანალიზის კუთხით შეიძლება აღინიშნოს, რომ 1990-იან წლების დასაწყისში პოსტ-საბჭოთა სივრცეში თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ცენტრალური აზიის თურქული რესპუბლიკებზე, თუმცა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ობიექტური თუ სუბოექტური მიზეზების გამო, იძულებული გახდა აქცენტი გადაეტანა კავკასიის რეგიონზე. პირველ ეტაპზე თურქეთი სარგებლობდა დასავლეთის მხარდაჭერით (Aydın, 2019, p. 142) და საერთო საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა დასავლეთის რესურსებს და პროგრამებს (F. S. Larrabee, I. O. Lesser, 2003, pp. 2-3). თურქეთის და დასავლეთის საერთო ინტერესს წარმოადგენდა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებთან დასავლურ სამყაროსთან თავსებადი რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმების ფორმირება და საერთო ძალისხმევით რეგიონში რუსეთის და ირანის დაბალანსება.(Jones, 2000, p. 57)

თურქეთი სიფრთხილის უდგებოდა კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს და თვლიდა, რომ მათ გააჩნდათ თურქეთის შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედების პოტენციალი. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ამ კუთხით აწარმოებდა ჩაურევლობის და თავდაცვითი ხასიათის პოლიტიკაა (Çelikpala, Turkiye'de Kafkas Diyasporası ve Turk Dış Politikası'na Etkileri, 2005, s. 102). პარალელურად, რეგიონის სტაბილურობის მიზნით დაიწყო რეგიონის ქვეყნებს და დასავლურ უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის შუამავლის როლის შესრულება და მხარს უჭერდა რეგიონის კონფლიქტების საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გადაწყვეტას.

2008 წლის ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, რფ-ს მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების განლაგებამ, მნიშნელოვნად შეცვალა კავკასიაში არსებული ვითარება(მანჩხაშვილი, 2014, გვ. 93). რფ-მ, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი საკამათო თემად აქცია და გაიზარდა რეგიონის სხვა კონფლიქტებთან მიმართებით ძალის გამოყენების ალბათობა(Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, გვ. 107-108). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჟღერებული „კავკასიის სტაბილურობის და თანამშრომლობის პლატფორმის“ ინიციატივა წარმოადგენს რეგიონალური პრობლემების და კონფლიქტების დარეგულირებაში ჩართვის და წვლილის შეტანის გამოვლინებას (Babacan, 2008), რაც აშკარად მიანიშნებს 90-იანი წლების თავდაცვითი პოზიციიდან გამოსვლის ტენდენციებზე. ამასთან, თურქეთს, საკუთარი საშუალებები და შესაძებლობები არ აძლევდა საშუალებას აქცენტი გაეკეთებინა დასავლეთის გავლენის ბოლომდე შემცირებაზე, რის გამოც პლატფორმას განიხილავს ეუთო-ს პრინციპების ქოლგის ქვეშ. (Çelikpala, Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş, 2010, s. 109-110)

2020 წლის შემდეგ ინიცირებული ე.წ. „3+3 ფორმატი“ ასახავს თურქეთის მზარდ ამბიციებს, იკისროს ლიდერის როლი რეგიონში და გლობალურ არენაზე. ეს ინიციატივასრულ იზოლაციაში აქცევს არარეგიონული ძალებს და წინა პლანზე გამოყავს რფ, თურქეთი და ირანი.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის პარალელურად იცვლებოდა მისი მიდგომა კავკასიის რეგიონის კონკრეტული ქვეყნების მიმართ. თუ საწყის ეტაპზე თურქეთის ძირითადი ამოსავალი აზერბაიჯანის ინტერესები იყო, 2008-2009 წლებში, „მეზობლებთან ნული პრობლემის“ პოლიტიკის შედეგად, ყურადღება ასევე გამახვილდა სომხეთთან ნორმალიზაციაზე. ამასთან, თურქული ინიციატივა წარუმატებელი აღმოჩნდა და ზიანი მიაყენა აზერბაიჯანთან ურთიერთობებს. 2010 წლიდან თურქეთი დაუბრუნდა ძველ პოლიტიკას, საერთაშრისო და შიდა პოლიტიკური ვითარების უკეთესობისკენ შეცვლამდე. 44 დღიანი ომის შედეგებმა თურქეთის და სომხეთის ნორმალიზაციის პროცესი ისევ დააყენა დღის წესრიგში. მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს სპეციალური წარმომადგენლების დონეზე. ამასთან, თურქეთი დეტალურად აწვდის ინფორმაციას აზერბაიჯანს და ითვალისწინებს მის ინტერესებს, რათა თავიდან იქნას აცილებული წარსული უთანხმოებები.

შეიძება აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე თურქეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით არ განუცდია მკვეთრი ცვლილება. თურქეთი საქართველოს განიხილიავს პირველ რიგში სატრანზიტო ჭრილში და შესაბამისად პრიორიტეტს ანიჭებს სტაბილურობას და სიმშვიდეს. აქედან გამომდინარე მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს და ჩართულია სხვადასხვა სამხედრო და სამოქლაქო ხასიათის

პროექტებში. ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნების როლი. აღნიშნულ კონტექსტში დიდი მნიშნელობა ენიჭება თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობას.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების და რეგიონში შექმნილი ვითარების, ასევე ზემოთ განხილული საგარეო პოლიტიკური მიზნების და მისწრაფებების გათვალისწინებით, პროგრამის „თურქეთის საუკუნე“ ფარგლებში, თურქეთის კავკასიური პოლიტიკის პრიორიტეტებად შესაძლებელია განსაზღვრული იქნას შემდეგი საკითხები:

- კავკასიის რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა და არსებული კონფლიქტების გამწვავების არ დაშვება. შესაბამისი პირობების წარმოქმნის შემთხვევაში მათ გადაწყვეტაში საკუთარინ წვლილის შეტანა;
- აზერბაიჯანის ტეროტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დასრულება და სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება;
- სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება და პროგრესის მიღწევა;
- კავკასიაში საკუთარი გავლენის ზრდა და რუსეთის და ირანის დაბალანსება;
- კავკასიაში არარეგიონალური აქტორების აქტივობების შეზღუდვა;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშრებელი სატრანსპორტო დერეფნის სტაბილური ფუნქციონირება და შესაძლებლობების გაზრდა. მათ შორის ზანგეზურის დერეფნის პროექტის განხორციელება;
- ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგომატარებლების თურქეთთან დამაკავშირებელ მილსადენ სისტემაში ჩართვა და მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირება;
- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან განმომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ოფიციალური ანკარა შეეცდება აწარმოოს პროაქტიური საგარეო პოლიტიკა და გაზარდოს საკუთარი როლი საერთაშორისო არენაზე, რისთვისაც გამოიყენებს რფ-უკრაინის ომის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს და წარმოქმნილ შესაძლებლობებს. თურქეთისთვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა, კავკასია, შავი ზღვა, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, და ცენტრალური აზია დარჩება ინტერესის ძირითად სფეროდ. თურქეთის ხელისუფლების აზრით, სწორედ ამ რეგიონებისთვის უნდა იქცეს გრავიტაციის ცენტრად „თურქული ღერძი“. ამასთან, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იქნება მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკაზე და შეეცდება ტრადიციული მიმართულებების გარდა, საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ ფორმატებში.

უნდა აღინიშნოს, რომ შავ ზღვაზე და სამხრეთ კავკასიაში თურქეთისთვის პრიორიტეტული იქნება ე.წ. „რეგიონალური პატრონაჟის“ პოლიტიკის გატარება, რის ერთ-ერთ მნიშნელოვან მექანიზმადაც რჩება „მონტროს კონვენცია“. თურქეთს არ სურს რეგიონში გარე ძალების აქტიურობა და მაქსიმალურად შეეცდება წინა პლანზე წამოწიოს ინიციატივები, რომლებშიც ჩართულები იქნებიან მხოლოდ რეგიონის ქვეყნები. სავარაუდოდ ამ საკითხში თურქეთის და რფ-ს ინტერესები თანხვედრაში მოდიან.

თურქეთიო თვლის, რომ თურქეთ-სომხეთისა და აზერბაიჯან-სომხეთის ნორმალიზაციის პროცესების პროგრესი აუცილებელია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის, მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის, რაც მიუთითებს, თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრგში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობაზე, ასევე, სომხეთთან დაწყებული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესის გაგრძელების პერსპექტივაზე.

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში შენარჩუნდება საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესი, ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობების გათვალისწინებით. ჩვენს ქვეყნებს შორის, ურთიერთობების ამჟამინდელი დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ან საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში არ მოხდა რადიკალური ცვლილებები, გაგრძელდება თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ასევე, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცის პროცესთან დაკავშირებით.

ამასთან, აქტუალობას შეინარჩუნებს მოქმედი სატრანსპორტო-ენერგეტიკული პროექტები და დღის წესრიგში პრიორიტეტულობას შეიძენს ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის, იგივე, „შუა დერეფნის“ ინიციატივა, რომელიც, მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევაში.

დიდი ალბათობით, სავაჭრო ურთიერთობები იქნება წამყვანი სფერო ორმხრივ თანამშრომლობაში.

რეგიონის კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, მოსალოდნელია, რომ თურქეთი კვლავ უპირატესობას მიანიჭებს „რეგიონული პატრონაჟის“ პოლიტიკას და ადგილობრივ ინიციატივებს. ამასთან, წარსულში, თურქეთის მიერ შესრულებული მედია-

ციის გათვალისწინებით, ერდოღანის ახალი ვადით მმართველობის პერიოდში, გამორიცხული არ არის, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს ანკარის მცდელობები, რეგიონის სხვა კონფლიქტების დარეგულირების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

ლიტერატურა

***"TÜRKİYE YÜZYILI"NDA MİLLİ DIŞ POLİTİKA.*(2023).** Retrieved 07 30, 2024, from Dış İşleri Bakanlığı: https://www.mfa.gov.tr/dis-politika-genel.tr.mfa

Aydın, M. (2019). Between Euphoria and Realpolitik: Turkish Policy toward Central Asia and the Caucasus. In T. Y. Ismael, *Turkey's Foreign Policy in the 21st Century: A Changing Role in World Politics"* (p. 142). New York: Routledge Taylor & Francis Group.

Babacan, A. (2008, 09 23). *Calming the Caucasus*. Retrieved 02 06, 2024, from The New York Times: https://www.nytimes.com/2008/09/23/opinion/23iht-edbabacan.1.16407371.html

Çelikpala, M. (2005). Turkiye'de Kafkas Diyasporası ve Turk Dış Politikası'na Etkileri. *Uluslararası İlişkiler, 2, N:5*, 102.

Çelikpala, M. (2010). Türkiye ve Kafkasya: Reaksiyoner Dış Politikadan Proaktif Ritmik Diplomasiye Geçiş. *Uluslararası İlişkiler, 7, N:25*, 95.

Davutoğlu, A. (2001). *Stratejik Derinlik: Türkiye'nin Uluslararaı Konumu.* İstanbul: Küre Yayınları.

Davutoğlu, A. (2013, 03 21). *Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring*. Retrieved 02 05, 2024, from Foreign Policy Magazine: https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era

Davutoğlu, A. (2013, 03 21).*Zero Problems in a New Era: Realpolitik is no answer to the challenges posed by the Arab Spring*. Retrieved 12 14, 2024, from Foreign Policy Magazine: https://foreignpolicy.com/2013/03/21/zero-problems-in-a-new-era

Erdoğan, R. T. (2014, 09 24).*Dünya 5'ten büyüktür*. Retrieved 07 31, 2024, from Al-Jazeera: https://www.aljazeera.com.tr/haber/erdogan-dunya-5ten-buyuktur

Erdoğan, R. T. (2022, 10 28). *"TÜRKİYE YÜZYILI" TANITIM TOPLANTISI KONUŞMASI.* Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanlığı: https://www.tccb.gov.tr/assets/dosya/2022-10-28-turkiye_yuzyil.pdf adresinden alındı

F. S. Larrabee, I. O. Lesser. (2003). *Turkish Foreign Policy in an Age of Uncertainty.* Arlington: RAND.

Fidan, H. (2023, 08 14). *Dışişleri Bakanı Sayın Hakan Fidan'ın 14. Büyükelçiler Konferansı Açılışında Yaptığı Konuşma*. Retrieved 07 31, 2024, from Dış İşleri Bakanlığı: https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-hakan-fidan-in-14-buyukelciler-konferansi-acilisinda-yaptigi-konusma--7-agustos-2023.tr.mfa

Hunter, S. (1994).*The Transcaucasus in Transition: Nation Building and Conflict.* Washington D.C.: Center for Strategic and International Studies.

Jones, S. A. (2000). Turkish Strategic Interests in the Transcaucasus . In G. K. (der.), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia* (p. 57). New York: Routledge.

Müderrisoğlu, O. (2024, 03 02).*Bölgesel Sahiplenme girişimi*. www.sabah.com.tr: https://www.sabah.com.tr/yazarlar/muderrisoglu/2024/03/02/bolgesel-sahiplenme-girisimi adresinden alındı

Murat Yeşiltaş, Ferhat Pirinççi. (2020).*Küresel Dönüşüm Sürecinde Türkiye'nin Büyük Stratejisi.* İstanbul: SETA kitapları.

R.T.Erdoğan. (2023, 05 05). *Haberler.* 02 09, 2024 tarihinde İletişim Başlanlığı: https://www.iletisim.gov.tr/turkce/haberler/detay/cumhurbaskani-erdogandan-sahada-ve-masada-guclu-turkiye-paylasimi adresinden alındı

Türkiye Yüzyılı için Doğru Adımlar, Seçim Beyannamesi 2023.(2023, 04 11). Retrieved from Ak Parti: https://www.akparti.org.tr/media/dwyd05pu/tu-rkiye-yuzy%C4%B1l%C4%B1-ic-in-dog-ru-ad%C4%B1mlar-2023-sec-im.pdf

***Türkiye-Afrika Ilişkileri*. (2025, 2 23).** Retrieved from Dış İşleri Bakanlığı: https://www.mfa.gov.tr/turkiye-afrika-iliskileri.tr.mfa

***Yeniden Asya Girişimi*. (2025, 2 25).** Retrieved from Dışişleri Bakanlığı: https://www.mfa.gov.tr/yeniden-asya-girisimi.tr.mfa

თავაძე, დ. (2023). თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები „თურქეთის საუკუნეში". *„ჯუნია", თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი #1*, 28.

მაკარაძე, ე. (2019). *თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (საღექციო ჩანაწერები).* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".

მანჩხაშვილი, მ. (2014).*თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".